# ჭეშმარიტად, დიდებული და ძლევამოსილი ალლაჰი ღამით გაწვდის თავის ხელს, რათა დღის დამნაშავემ მოინანიოს, და დღისით გაწვდის თავის ხელს, რათა ღამის დამნაშავემ მოინანიოს, სანამ მზე დასავლეთიდან ამოვა

გადმოცემულია აბუ მუსა ალ-აშ'არისგან (ალლაჰი იყოს მისთ კმაყოფილი), რომ შუამავალმა (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) თქვა: «ჭეშმარიტად, დიდებული და ძლევამოსილი ალლაჰი ღამით გაწვდის თავის ხელს, რათა დღის დამნაშავემ მოინანიოს, და დღისით გაწვდის თავის ხელს, რათა ღამის დამნაშავემ მოინანიოს, სანამ მზე დასავლეთიდან ამოვა»
[სანდო (საჰიჰ)] [გადმოსცა მუსლიმმა]

ალლაჰის მოციქული (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) გვამცნობს, რომ უზენაესი თავისი მონების მონანიებას იღებს, თუ მონამ დღისით ცოდვა ჩაიდინა და ღამით მოინანია, ალლაჰი მის მონანიებას მიიღებს. ხოლო თუ ღამით ცოდვა ჩაიდინა და დღისით მოინანია, ალლაჰი მის მონანიებას ასევე მიიღებს, ალლაჰი გაწვდის თავის ხელს მონანიებისკენ სიხარულით და მისი მიღებით. მონანიების კარი ღია რჩება, სანამ მზე დასავლეთიდან ამოვა, რაც ამქვეყნიური ცხოვრების დასასრულს მოასწავებს. ხოლო როდესაც მზე დასავლეთიდან ამოვა, მონანიების კარი დაიხურება.



النجاة الخيرية
ALNAJAT CHARITY
لجنة الدعوة الإلكترونية
EDC E-Da'wah Committee